ბორჯომის მუნიციპალიტეტი

საპროექტო მომსახურების შესყიდვა კონკურსის მეშვეობით

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (ქ.ბორჯომი მესხეთის ქუჩა #5) სრული არქიტექტურული და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^2 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ბორჯომი 2011 წელი

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის აცხადებს კონკურს არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. #5–ში მდებარე ყოფილი სავაჭრო ცენტრის შენობის მე–2 და მე–3 სართულზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მოწყობის არქიტექტურული და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და საავტორო უფლებებზე ზედამხედვების განხორციელება.

3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს – 25000 (ოცდახუთი ათასი) ლარს.

4. საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე (http://procurement.gov.ge)

5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
   ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკოლაური ნომერი და თარიღი;
   ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
   გ) კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაცი კოდი;
   დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიცილაურ ვებ–გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო განცხადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე–4 და მე–5 პუნქტის დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში განარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

9. დოკუმენტების ან და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

10. საკონკურსო წინადადების მიღება დაიწყება 2011 წლის „24“ ოქტომბერს 10^{00} საათზე;

11. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2011 წლის „24„ ოქტომბრის 15^{00} საათზე;

12. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით 2 ეგზემპლიარად (დედანი და ასლი) უნდა წარმოადგინონ 2011 წლის „24„ ოქტომბერს 10^{00} საათიდან 15^{00} საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის ქ. #81; ბორჯომის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება.

13. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუდება კონკურსანტს.

14. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარისფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

15. წინასწარი გადახდის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ოდენობის საბანკო ან სადაზღვევო გარანტია.

16. კონურსანტის საკონკურსო წინადადება უნდა შეადგენდეს:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი.
ბ) გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური არწერა: განმარტებითი ბარათი. არქიტექტურული კონცეფცია, ვიზუალიზაცია და სხვა.
გ) ინფორმაცია კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური მომსახურების შესახებ.
დ) ინფირმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ.
ე) ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ.
ვ) რეკვიზიტები.

17. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

18. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შეყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

19. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

- არქიტექტურული კონცეფცია და ესკიზი: კოეფიციენტი _ 0,5
- ანალოგიური მომსახურების გამოცდილება: კოეფიციენტი – 0,3
- საკონკურსო წინადადების ფასი კოეფისიენტი – 0,2
- შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
- კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. (ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა).

20. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში საპროექტო– სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

21. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები პროექტში. იმ შემხვევაში თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა განხორციელდება ანაზღაურების გარეშე.

22. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია. ამასთან კონკურსანტმა დამარებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცის PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 მგბ-ს.

23. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/ და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში შემსყვიდველი ორგანიზაცია ვალდებულია არ არის კონკურსანტს აუნაზრაუროს შეყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

24. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი მაია მახარაშვილი, მისამართი ქ. ბორჯომი რუსთაველის ქ. #81, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება, ტელ (367) 22 20 13;

2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

2.1 კონკურსის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. ბორჯომი მესხეთის ქ. #5–ში მდებარე (საკადასტრი კოდი 64.23.01.103) ყოფილი სავაჭრო ცენტრის შენობის მე–2 და მე–3 სართულზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მოწყობის არქიტექტურული და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

2.2 საპროექტო სამუშაოების ფართი შეადგენს: მე-2 სართული-1645,13 კვ.მ და მე-3 სართული-58,22 კვ.მ;

2.3 გამარჯვებულმა კომპანიამ პროექტი უნდა შეათანხმოს პირველი სართულის მფლობელთან.

2.4 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს:

1. განმარტებითი ბარათი;
2. არქიტექტურული ნაწილის პროექტი;
3. კონსტრუქციული ნაწილის პროექტი;
4. ელექტრომომარაგების და სუსტი დენების პროექტი;
5. წყალმომარაგებისა და კანალიზაციის შიდა ქსელის პროექტი;
6. გათბობა-გაგრილების სისტემის პროექტი;
7. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
8. ჩასატარებელი სამუშაოების საორიენტაციო განფასება (ხარჯთაღრიცხვა);

2.4. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა უყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველ ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანარტებით.

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ––– ––––––––––– 2011 წ.
ერთის მხრივ **ბორჯომის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ბესიკ ქურდაძის სახით და მეორეს მხრივ ––––––––––––––––––––––––– წარმომადგენელი ––––––––––––––––––– სახით, (შემდგოში “მიწოდებელი”) კონკურსის საშუალებით დებენ ინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (ქ. ბორჯომი მესხეთის ქუჩა №5) მოწყობის არქიტექტურილი და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.
2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს –––––––– ლარს.
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულებით ნაკისრი ველებულებების ინსპექტირება

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;
4.2. ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებეის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფი.

5. მომსახურების გაწევის ვადები

5.1 მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დადაასრულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან **10 დღის ვადაში.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „შემსყიდველი” გაწეული მომსახურების მიღებას მოახდენს მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7. ანგარიშსწორება და ვალუტა

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

7.2. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალურაში.

7.3 ანგარიშწორება განხორციელდება ერთიანად გაწეული მომსახურების მიღება ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზდა
დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

126. მხარეთა უფლება–მოვალეობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

12.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

12.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების

ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
12.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
13.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.
14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15. დაუძლეველი ძალა

15.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;
15.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანესწ მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
15.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

18.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. **შეტყობინება**

19.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. **გადასახადები და დაბეგვრა**

20.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

21. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

21.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2011 წლის _____ ჩათვლით

21.2. ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 3 (სამი) პირი შემსყიდველთან.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი**: